პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 6
(3745)

9
1969 წ.
იანვარი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

„გამარჯვება“ გამარჯვებული დაბრუნდა

ცნობას იმის შესახებ, რომ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტკლუბ „გამარჯვების“ ძალოსანთა გუნდი მიწვეული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად, დიდი ინტერესით შეხვდნენ. ეს ინტერესი გამოწვეული იყო იმითაც, რომ უცხოეთში საქართველოს ძალოსანთა გუნდი ჯერ არ ყოფილა, თუმცა ჩვენი უძლიერესი ძალოსნების ჟღენტის, ჩიმიშკიანის, სვეტილკოს, კასიანიკის, ხანუკაშვილისა და სხვათა სახელები მთელ მსოფლიოში იყო განთქმული.

ეს ყოველივე გუნდის წინაშე დიდ და სერიოზულ ამოცანას აყენებდა. ამიტომ ქარხნის ძალოსნები საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის შ. წერეთლის ხელმძღვანელობით ერთი თვით ადრე შეუდგნენ სპეციალურ წვრთნას. გუნდი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სპორტის ოსტატები მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი დ. შანიძე, მ. პართენაძე, ჯ. გოგსაძე, რ. გასპარიანი, ო. დემუროვი, დ. მუშკუდიანი და ვ. კაზანჯევი 8 დეკემბერს გაემგზავრა პოლონეთს. სპორტსმენებს ახლდნენ მწვრთნელი შ. წერეთელი და მსაჯი გ. გოდერძიშვილი.

11 დეკემბერს დილით ვარშავაში ვიყავით. ვაგზალზე გულთბილად შეგვხვდნენ ადგილობრივი ფიზკულტურისა და სპორტის წარმომადგენლები.

მანქანებით მოვიარეთ ვარშავის ღირსშესანიშნავი ადგილები, პარკები, სტადიონები, ვნახეთ ფიზკულტურისა და სპორტის აკადემია, სპორტული ბაზები და ნაგებობანი.

იმავე საღამოს მატარებლით გავემგზავრეთ მეშახტეთა ქალაქ კატოვიცეში, რომელიც ვარშავიდან 350 კილომეტრითაა დაცილებული. იქაც ხალხმრავალი შეხვედრა მოგვიწყვეს და სასტუმრომდე მიგვაცილეს.

მეორე დღეს შეჯიბრება არ გვქონდა, ამიტომ ადგილობრივი პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წინადადებით ქალაქი დავათვალიერეთ. ვიყავით კულტურისა და დასვენების პარკში, რომელსაც 650 ჰექტარი ფართობი უჭირავს, ვნახეთ 100.000-იანი სტადიონი, სადაც ძირითადად ცნობილი ფეხბურთის გუნდი „გურნიკი“ გადის წვრთნას და თამაშობს. ვიყავით ქალაქის პლანეტარიუმში, დავათვალიერეთ სპორტული ბაზები.

13 დეკემბერი შეჯიბრების დღე იყო. 17 საათზე (თბილისის დროით 20 საათზე) ფერადი მეტალურგიის მუშაკთა პროფკავშირების სპორტულ დარბაზში დაიწყო ასპარეზობა. შევხვდით კატოვიცეს (ამ ქალაქში 4 მილიონი მცხოვრებია) ნაკრებს. შეჯიბრება დამთავრდა ჩვენი გუნდის გამარჯვებით 6:1. მასპინძლებმა გულთბილად მოგვილოცეს გამარჯვება, ხოლო ცალკეულ ძალოსნებს საჩუქრები გადასცეს.

მეორე დღეს კატოვიცეს ოლქის ქალაქ ბელსკში წაგვიყვანეს, სადაც მეორე შეხვედრა იყო დაგეგმილი — ამჯერად კატოვიცეს ოლქის პროფკავშირების ნაკრებ გუნდთან.

ბელსკი ლამაზი ქალაქია, რომელშიც 90.000 კაცზე მეტი ცხოვრობს. 15 დეკემბერს ქალაქის კულტურის კლუბში უამრავ მაყურებელს მოეყარა თავი. მასპინძლებმა ძლიერი გუნდი გამოიყვანეს.

ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ დაიწყო შეჯიბრება. ჩვენმა პირველმა წონამ სამივე მოძრაობის ჯამში წააგო შეხვედრა. XIX ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა დ. შანიძემ შედარებით იოლად მოიგო და ანგარიში 1:1 გახდა. შემდეგ გოგსაძის დამარცხების გამო ისევ მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ ეს მათთვის ბოლო წარმატება აღმოჩნდა, ვინაიდან ყველა დანარჩენ წონით კატეგორიაში ჩვენმა ძალოსნებმა იმარჯვეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მძიმე წონის ძალოსანმა ვ. კაზანჯევმა, რომელმაც 190 კგ აკრა, სამჭიდში 500 კგ დააგროვა და საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარა.

ბელსკში შეხვედრის საერთო ანგარიში იყო 5:2 „გამარჯვების“ ძალოსანთა სასარგებლოდ.

მეორე დღეს დავათვალიერეთ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი და კატოვიცეში დავბრუნდით. მიგვიღო პოლონეთის პროფკავშირების ვიცე-პრეზიდენტმა ამხ. სტახინმა.

17 დეკემბერს დილით ვარშავაში ჩავედით და იმავე საღამოს მადლიერებმა დავტოვეთ სტუმართმოყვარე პოლონეთი.

ტ. კიკნაველიძე,
დელეგაციის ხელმძღვანელი.

◆ ჰასტინგსი, 8 იანვარი. აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ორხელისუფლებიანობაა. ლიდერს, ვ. სმისლოვს წამოეწია ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) და ახლა ორივეს 7,5-7,5 ქულა აქვს. X ტურში საბჭოთა დიდოსტატმა წააგო ჩეხოსლოვაკიელ ი. სმეიკალთან, ხოლო იუგოსლაველი ყაიმზე შეუთანხმდა ინგლისელ რ. კინს.

◆ გრონინგენი, 8 იანვარი. იუნიორ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში კვლავ ლიდერობს მედერი (გფრ)—5. ვაგანიანმა (სსრ კავშირი) VI ტურში დაამარცხა შვეიცარიელი შაუფელბერგერი. საბჭოთა ოსტატი V ტურიდან გადადებულ პარტიაში რუმინელ გიზდაუსთან ყაიმს დასჯერდა. ახლა მას 4 ქულა აქვს და II-III ადგილს იყოფს უნგრელ რიბლთან ერთად.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

რას მიქვიან გიგანტები!

ტარტუ, 8 იანვარი. გუშინ აქ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „კალევმა“ მიიღო მოსკოვის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით 65:63 (36:33).

ამ ინფორმაციისთვის შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა. ესტონელებმა საკუთარ მოედანზე მეოთხე გამარჯვება მოიპოვეს და ორი საფეხურით წინ გადაინაცვლეს სატურნირო ცხრილში. ჩემპიონატში ასეთი რამ ხშირად ხდება და მასზე განსაკუთრებით არ გავამახვილებდით ყურადღებას, რომ...

მოსკოვის „დინამოს“ მართალია არც ისე ბევრი ქულა აქვს, მაგრამ მის გარშემო საკმაოდ დიდი ხმაურია ატეხილი (ჩვენის აზრით, არც ისე უსაფუძვლოდ). „დინამოს“ ბოლო ხანებში ახალი, საპატიო სახელიც დაერქვა — „ლიდერთა რისხვა“. მოსკოველმა კალათბურთელებმა შარშანდელი ჩემპიონატის სამ პრიზიორთან 6 მატჩი ჩაატარეს, 4 მოიგეს და მხოლოდ ორჯერ (თბილისის „დინამოსთან“ და კიევის ასკ-თან) დატოვეს მოედანი დამარცხებულებმა. ამასთან, „დინამომ“ ორი მატჩი მოუგო ცსკა-ს. როგორც ხედავთ, დინამოელებისთვის „ლიდერთა რისხვა“ უსაფუძვლოდ არ დაურქმევიათ.

მაგრამ ბოლო ხანებში, ამ „ტიტულს“ ახალი პრეტენდენტი გამოუჩნდა — ტარტუს „კალევი“, რომელმაც“ სულ ახლახან ცსკა-ს ზედიზედ ორი დამარცხება მიაყენა, გუშინ კი ლიდერთა აღიარებული რისხვა დააჩოქა.

მოსკოვის „დინამოსა“ და „კალევის“ შემადგენლობებს შორის დიდი განსხვავებაა სიმაღლეში. „დინამო“ დღეს ყველაზე მაღალი გუნდია, რომლის ღირსებასაც 6 ორმეტრიანი გიგანტი იცავს (პეტროვი — 211 სმ, ნიკიტინი — 210 სმ, ბალაშოვი — 205 სმ, გილგნერი — 204 სმ ,კორნეევი — 202 სმ და იზბიცკი—201 სმ). ამათ გარდა, კიდევ სამი დინამოელის სიმაღლე აღემატება „კალევისთვის“ კრიტიკულ, 195 სანტიმეტრს.

რატომ კრიტიკულს, იკითხავთ ალბათ? იმიტომ, რომ ესტონელთა ყველაზე მაღალი მომქმედი კალათბურთელი — პარბო 195 სანტიმეტრის სიმაღლისაა (მართალია „კალევს“ განაცხადში შეყვანილი ჰყავს ერთი ორმეტრიანი — ლეია, მაგრამ მან 9 მატჩში მოედანზე მხოლოდ 4 წუთს დაჰყო).

გამოდის, რომ გამარჯვების მისაღწევად არ კმარა მხოლოდ სიმაღლე. საჭიროა ამ სიმაღლის გონივრულად გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შესაძლოა ხელისშემშლელი ფაქტორიც გახდეს. ასეა თუ ისე, „კალევმა“ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კალათბურთის თამაში იცის და თუ მეტოქემ რაიმე შეცდომა დაუშვა, უეჭველად გამოიყენებს.

„დინამოსა“ და „კალევის“ ორთაბრძოლის პირველი ნახევარი ცვალებადი უპირატესობით აღინიშნა. შესვენების წინ ესტონელებმა მოახერხეს დაწინაურება—36:33. დაძაბულობა არ შენელებულა არც მეორე ტაიმში. სადემონსტრაციო დაფამ რამდენჯერმე აღნიშნა ფრე. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 10 წამით ადრე ანგარიში იყო 63:63 და აი, სწორედ ამ კრიტიკულ წამებში „კალევმა“ ჩააგდო ბურთი, რომელმაც მას გამარჯვების ქულა მოუტანა.

* * *



სურათზე: მომენტი საკავშირო ჩემპიონატის განვლილი მატჩიდან. თამაშობენ თბილისის „დინამო“ და ლენინგრადის „სპარტაკი“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სტროიტელი“ (კიევი)	10	7	3	678—635	7
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	8	6	2	590—547	6
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	8	6	2	572—530	6
ცსკა	9	6	3	657—623	6
„დინამო“ (თბილისი)	8	6	2	588—569	6
ასკ (კიევი)	10	5	5	631—639	5
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	10	5	5	649—657	5
„კალევი“ (ტარტუ)	9	4	5	635—667	4
„დინამო“ (მოსკოვი)	10	4	6	650—629	4
ვეფ (რიგა)	9	3	6	592—599	3
ასკ (რიგა)	11	2	9	747—806	2
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	8	1	7	575—663	1

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის გუშინდელი მატჩის შედეგი: „კალევი“ (ტარტუ) — „დინამო“ (მოსკოვი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსმენის წარმატება, მწვრთნელის წარმატებაცაა

სსრ კავშირის ერთ-ერთ მოწინავე სპორტულ რესპუბლიკაში — საქართველოში კრივი, სპორტის კლასიკური სახეობა, ყველაზე ჩამორჩენილ სახეობად იქცა.

1967 წელს, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში ქართველი მოკრივეები XV ადგილზე აღმოჩნდნენ, 1968 წლის საკავშირო პირველობის ფინალში საქართველო ერთი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. არასახარბიელო-სურათი გვიჩვენა მოსწავლეთა და ჭაბუკთა შარშანდელმა პირველობებმა. უეჭველია ეს არ შეიძლება არ იწვევდეს მათ გულისტკივილს, ვის სახელთანაც ქართველ მოკრივეთა მდიდარი ტრადიციებია დაკავშირებული. მით უმეტეს, რომ მე არ მახსოვს ამ სახეობისადმი ისეთი სერიოზული და ყურადღებიანი დამოკიდებულება საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის მხრიდან, როგორიც დღეს.

კრივის პოპულარიზაციაში აქტიურ როლს თამაშობენ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლა, თბილისის განათლების განყოფილება. ეს ორგანიზაციები ბევრს აკეთებენ ახალგაზრდა მოკრივეების აღზრდისთვის და უფრო გამოცდილი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლებისთვის. საბჭოთა პრესა საკმაოდ დაწვრილებით მსჯელობს ნიჭიერი მოკრივეების დიდ სპორტში დახელოვნების გზებზე. ეს მით უფრო საჭიროა, რომ საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა შედეგები ზღაპრულად მაღალია.

ძნელია წარმოიდგინო, რომ ჩვეულებრივ ადამიანს, ამასთან, არც თუ დიდად ახოვანს, კაცს, რომელიც 60 კგ-ს იწონის, კლასიკურ სამჭიდში შეუძლია 392,5 კგ აჩვენოს. თბილისელი ძალოსანი დ. შანიძე კი ამას აღწევს. გოლიათობას ვერც გ. გუდაშვილი დაიკვეხნის, მაგრამ იგი ბადროს 60 მეტრს იქით ტყორცნის (გახსოვთ გუდაშვილი სსრ კავშირის რეკორდსმენიც გახდა). წარმოიდგინეთ, რომ ეს შესანიშნავი ათლეტები თანამედროვენი არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სპორტსმენებს თავიანთი შესანიშნავი შედეგების წყალობით აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფუნქცია სისწრაფეში, მოძრაობათა კოორდინაციაში, ამტანობაში და ა. შ.

განსაკუთრებით ნიჭიერი სპორტსმენების ძიებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ მეცნიერმა ფიზიოლოგებმა, რომლებმაც მწვრთნელებთან ერთად უნდა განსაზღვრონ სპორტსმენის შემდგომი ზრდის პერსპექტივები.

მაგრამ ზოგჯერ მსოფლიო სახელის მქონე ათლეტებს წვრთნიან წარსულში საკმაოდ სუსტი სპორტსმენები, რომლებსაც მუდამ როდი აქვთ სპეციალური მომზადება. როგორც წესი, ასეთი კატეგორიის მწვრთნელებში შეიძლება შევხვდეთ ადამიანებს, რომლებსაც ფანატიკურად უყვართ სპორტის არჩეული სახეობა, აქვთ ფართო ცხოვრებისეული ჰორიზონტი. მე ვფიქრობ, მსოფლიო სპორტის დიდი ოსტატების მოსამზადებლად ნიჭიერ სპორტსმენებთან ერთად უნდა ვეძებოთ მწვრთნელებიც — კეთილი გულის, მაძიებელი ჭკუისა და მტკიცე ნებისყოფის ადამიანები. ისინი უნდა მოვძებნოთ და აღვზარდოთ. თანამედროვე დიდი მწვრთნელი, ესაა ადამიანი დიდი თავდაჯერით, ტაქტითა და აუცილებელი პედაგოგიური ღირსებით.

სპორტსმენის აწმყოსა და მომავლის განსაზღვრის უნარი მისი ოსტატობის ზრდის გათვალისწინებით, მოკრივისთვის საჭირო წვრთნის მეთოდიკის დადგენა ანუ აღსაზრდელისადმი ინდივიდუალური მიდგომა, — აი, მწვრთნელისთვის აუცილებელი თვისებების არასრული კომპლექსი.

ვისაც ახსოვს შეუპოვარი, თავისებური მუშაობა ოლიმპიურ ჩემპიონ ვ. პოპენჩენკოსი, მან იცის, კრივის კლასიკურ ნიმუშთან შედარებით რა უჩვეულო იყო მისი ბრძოლის მანერა, მისი დგომა. ცნობილი უნგრელი მოკრივე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი პროფესიონალებში ლასლო პაპი ძალიან ორიგინალურია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ბრძოლის მანერით.

სავსებით შესაძლებელია, რომ ზემოჩამოთვლილ მოკრივეთა წარმატებები დაკავშირებული იყო მათი გამოცდილი მწვრთნელების პედაგოგიურ ხერხებზე. მათ შეძლეს წარმოედგინათ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სურათი, რამაც განაპირობა მათი მოწაფეების წარმატება. მაგალითისთვის ავიღოთ მოკრივის რიგითი წვრთნის მომენტი და მისი შესაძლებელი გადაწყვეტა მწვრთნელთა მიერ. რინგზე საწვრთნელ ბრძოლაში ვარჯიშობენ მოკრივეები, მწვრთნელი თვალს ადევნებს მათ. ერთ-ერთ მოკრივეს გახსნილი აქვს მარცხენა მხარე, ვინაიდან იგი ხელებდაშვებულია. აქედან კი იქმნება საშიშროება: მიიღო დარტყმა მარჯვნიდან. ასეთ მოკრივეს ორი შენიშვნა უნდა მისცეთ: ერთი — აუცილებელია ასწიო მარცხენა მხარი, მეორე — ურჩიო მარჯვნივ იმოძრაოს.

პირველ შემთხვევაში, თუ მოკრივე სწრაფ რეაქციას ფლობს, აწეული მხარი შებორკავს და იგი თავის ძირითად ხერხს ვერ გამოიყენებს, მარჯვნივ მოძრაობა კი მისთვის ხელსაყრელია. აქ ერთი შეხედვით არც თუ რთულ საბრძოლო სიტუაციას ორი გადაწყვეტა აქვს, მაგრამ უკეთესი, საჭირო ვარიანტის არჩევა მწვრთნელის უნარზეა დამოკიდებული. მწვრთნელის ტალანტი მჟღავნდება მოკრივის დგომის, სტილის, ბრძოლის ნახაზის განსაზღვრის უნარში, გამომდინარე მისივე ფსიქო-ფიზიოლოგიური მონაცემებიდან.

სპორტსმენის კონსტრუქციული ფიზიკური თავისებურებების დადგენის გარდა, ათლეტის ნიჭიერების დასადგენად არსებობს თუ მეტი არა, ყოველ შემთხვევაში, არანაკლები მნიშვნელობის კრიტერიუმი — ესაა ხასიათი, ნებისყოფა, სიმამაცე. ეს ღირსებები სპორტსმენს დიდი შრომის ფასად გამოუმუშავდება და მათ გასავითარებლად მწვრთნელის უღრესი გულმოდგინება, უტყუარი ალღო და უნარია საჭირო. მწვრთნელი ვალდებულია უახლოეს კონტაქტში იყოს მოწაფეებთან და ავტორიტეტით სარგებლობდეს.

ქართველი ახალგაზრდობა ფიზიკურად ჰარმონიულადაა განვითარებული და საკმაოდ ნიჭიერია სპორტში. მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს ტემპერამენტს, თავმოყვარეობას და უმეტესობისთვის დამახასიათებელ საგანგებოდ განვითარებულ აღგზნებადობას. ამიტომ კრივში, როგორც სპორტის არც ერთ სახეობაში, მწვრთნელი ძალზე წინდახედული უნდა იყოს, საწვრთნელ ბრძოლაში არ უნდა დაუშვას უხეშობა და ულამაზო ძალისმიერი კრივი, რაც ხშირად ფსიქიკურ ტრავმებს იწვევს და ნიჭიერ ახალგაზრდებს სპორტის ამ სახეობას აძულებს.

შემდგომში, როცა ჭაბუკს ასაკი ემატება, მუშაობის მეთოდები უნდა შეიცვალოს და საწვრთნელ ბრძოლას რეალური, მკაცრი, მაგრამ არა უხეში ფორმები მიეცეს.

ყოველი დიდი მოკრივისთვის თუ პირველხარისხოვანი არა, ძალზე საჭირო ღირსებაა მამაცობა.

მწვრთნელს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები სამამულო კრივის ისტორიიდან, სპორტსმენს აყვარებს მამაცობას, საწვრთნელ ბრძოლაში შეარჩევს თანაბარი ძალის პარტნიორებს და არ დაუშვებს შესამჩნევ უპირატესობას რომელიმე მოკრივის მხრიდან.

ასეთი დამოკიდებულება ყველა მოკრივისადმი, განსაკუთრებით კი სუსტებისადმი, დადებით ნაყოფს გამოიღებს. გ. ხანუკაშვილმა, რომელმაც ორჯერ მოიგო სსრ კავშირის პირველობა 1948 და 1949 წლებში, 1943 წელს ოთხჯერ ზედიზედ დამარცხების შემდეგ მიტოვა კრივი. ამ ნაბიჯს იგი ასე ხსნიდა: როგორც ჩანს, ნიჭი არა მაქვს და დრო რად დავკარგოო. რამდენიმე თვის შემდეგ იძულებული გავხდი შინ მივსულიყავი მასთან. ველაპარაკე, ავუხსენი, რომ ჯიუტი, შეუპოვარი შრომით უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევდა, რომ ყურადღება არ უნდა მიექცია გამარჯვებისა და მარცხისთვის, რომ მთავარი ტექნიკის გამომუშავება იყო. ხანუკაშვილმა დამიჯერა და შედეგმაც, როგორც იცით, არ დააყოვნა.

დიდი ოსტატის აღზრდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქიკურ მონაცემებს, მაგრამ სიმამაცე, შეუპოვრობა, რეაქცია, სისწრაფე გაცილებით ძნელი გამოსამუშავებელია. აქ მწვრთნელმა განსაკუთრებული ყურადღება და მოთმინება უნდა გამოიჩინოს.

სპორტული რეკორდების უსასრულო ზრდა, სპორტულ მიღწევათა კოსმოსური სიმაღლე მწვრთნელისგან ახალი გზების ძიებას მოითხოვს. თანამედროვე მწვრთნელს დიდ მოთხოვნებს უყენებენ სპორტული მეცნიერების დაუფლების საკითხში. დღეს მწვრთნელად მუშაობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ცხოვრებას ჩამორჩენილი არა ხარ, თუ მწვრთნელი წლების მანძილზე ვერ გვიჩვენებს თავისი მუშაობის ნაყოფს და თანამედროვე კლასის სპორტსმენებს არ ზრდის, მას, როგორც ჩანს, არა აქვს მოწოდება ამ შემოქმედებითი პროფესიისა.

კარგი მწვრთნელის სახელი დიდხანს რჩება მილიონობით სპორტის მოყვარულის ხსოვნაში. ჩვენში დღემდე ცოცხლობს დაუვიწყარი სახელები მწვრთნელებისა, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ სპორტში. ესენი არიან გ. ეგნატაშვილი, ა. ბაქრაძე (ტანვარჯიში), გ. ჩიკვაიძე (ძალოსნობა) და სხვები. სპორტსმენის წარუმატებლობა პირველ ყოვლისა მწვრთნელის მარცხია. ამიტომ აუცილებლად უნდა ვეძიოთ და აღვზარდოთ ახალი ტიპის მწვრთნელები. ეს ძალიან საჭიროა საქართველოში კრივის აღორძინებისთვის.

ა. გოლდშტეინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სპორტსაზოგადოებათა კონფერენციებზე

მშრომელთა რეზერვს — მეტი ბაზები

გაიმართა „შრომითი რეზერვების“ მე-3 რესპუბლიკური კონფერენცია, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **კ. მიქაიაშვილი.** სარევიზიო კომისიის ანგარიში წარმოადგინა ამ კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ლიპარტიამ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში, რომელიც ოთხ წელიწადს მოიცავს, გაიზარდა ფიზკულტურის კოლექტივებისა (47-დან 61-მდე) და ფიზკულტურელთა რაოდენობა (24000-მდე). გეგმით გათვალისწინებული 34 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადდა 47. სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა 50 კაცმა, პირველი თანრიგის ნორმატივი—560-ის ნაცვლად 1007 ფიზკულტურელმა, მეორე თანრიგისა კი 7359 კაცმა (გეგმით — 4090). ასევე გადაჭარბებით შესრულდა მშთ ნიშნოსნების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მსაჯებისა და ტურისტების მომზადების ვალდებულებაც.

საზოგადოების ნაკრები გუნდები სისტემატურად მონაწილეობდნენ როგორც საქალაქო და რესპუბლიკურ, ასევე „შრომითი რეზერვების“ საკავშირო სპარტაკიადებში. ზოგიერთ სახეობაში მათ კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს (აკრობატიკა, სპორტული ტანვარჯიში, ტრეკზე ველორბოლა, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ფრენბურთი და კალათბურთი), მაგრამ ზოგიერთში, როგორიცაა მძლეოსნობა, საგზატკეცილო ველორბოლა, ცურვა (გოგონები), კრივი, საზოგადოების წარმომადგენლები არადამაკმაყოფილებლად გამოდიოდნენ.

აღინიშნა ისიც, რომ პროფტექნიკური განათლების მოსწავლეთა სპარტაკიადაში, რომელიც წლეულს მინსკში ჩატარდა, საქართველოს ნაკრები გუნდები ოლიმპიურ ჩათვლაში V ადგილზე გავიდნენ. მათ მოიპოვეს 17 ოქროს, 18 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი.

კონფერენციაზე აღინიშნა იმ მწვრთნელთა კარგი მუშაობა, რომლებმაც საზოგადოებას მაღალი თანრიგის სპორტსმენები მოუმზადეს. (მ. ქელეხსაშვილი, გ. მარგიშვილი, ვ. შახბაზოვი, ო. დადუნაშვილი, ვ. ხაბეიშვილი, თ. თედეევა და ს. კამოევი).

კარგი მუშაობით გამოიჩინეს თავი მე-11 სამხატვრო, მე-5, მე-18, მე-19, 23-ე, 26-ე, 27-ე, 31-ე, 35-ე პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივებმა. ნაკლოვანებებისთვის გააკრიტიკეს 30-ე, მე-40, 29-ე მე-9, 24-ე სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივები.

ითქვა, რომ საქართველოს „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭო რამდენიმეჯერ დაჯილდოვდა ამავე საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.

კარგ ტრადიციად იქცა პროფტექნიკური განათლების მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადების ჩატარება. ყოველწლიურად იზრდება მონაწილეთა რიცხვი. მაგალითად, თუ 1964 წელს სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 38 კოლექტივმა (18950 სპორტსმენი), 1968 წლისთვის ეს რიცხვი თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ი. ბიბილეიშვილმა** (ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორი), **კ. კრავჩენკომ** (ფეხბურთის მწვრთნელი), **კ. გირგიდოვმა** (№ 11 სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი), სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ბოგვერაძემ** (№ 31 სასწავლებლის დირექტორი), **გ. მახარაძემ** (№ 5 სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), **თ. თედეევამ** (ტანვარჯიშის მწვრთნელი).

კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს ნაყოფიერ მუშაობას. აღინიშნა სპორტული ბაზების უკმარობა.

კონფერენციის მონაწილენი სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ 1969 წელს თბილისში დაიწყება დიდი სპორტული კომბინატის მშენებლობა. ახალი ბაზა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მეტი რაოდენობით გაერთიანებას სპორტულ სექციებში და სათანადო პირობებს შექმნის რესპუბლიკური, საკავშირო და ოლიმპიური გუნდების წვრთნისთვის.

კონფერენციაზე საქმიანი შენიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ბალავაძე.** კონფერენციის მუშაობა შეაჯამა პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. ჩიხლაძემ.**

კონფერენციამ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის მიიღო დადგენილება, აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები და მე-3 საკავშირო კონფერენციის დელეგატები.

გაიმართა ახლად არჩეული პლენუმის პირველი სხდომა, რომელმაც პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია მ. ჩიხლაძე, მოადგილედ გ. კირვალიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ვ. ლიპარტია.

ჩ. ვაჭარაძე.

რბილი ტანვარჯიშული რგოლები

სპორტული ტექნიკის სიახლენი

ეს ახალი ტანვარჯიშული რგოლები ტაშკენტის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ვ. ფიოდოროვმა გამოიგონა. რგოლები პირველად უზბეკეთში გამოსცადეს. ტანმოვარჯიშეები მაშინვე დაინტერესდნენ სიახლით და აღნიშნეს, რომ რთული ელემენტები ამ რგოლებზე უჩვეულოდ იოლად, უშეცდომოდ სრულდება. რგოლებზე ვარჯიშის შემდეგ სპორტსმენებს ნაკლებად სტკიოდათ მხრები, არ გრძნობდნენ კუნთების დაძაბვას.

ვ. ფიოდოროვი უკვე რამდენიმე სპორტული მოწყობილობის გამომგონებელია. მისი რბილი ტანვარჯიშული რგოლები ერთი შეხედვით არაფრით არ გამოირჩევა ჩვეულებრივისგან. გამომგონებელმა მხოლოდ მათი საყრდენზე დამაგრების პრინციპი შეცვალა. ადრე რგოლებს გვარლის დახმარებით ამაგრებდნენ კედელში, კავზე, ფიოდოროვმა კი იგი ამორტიზატორზე დაამაგრა, რომელიც აკვრის ენერგიას შთანთქავს.

ამორტიზატორი საკმაოდ მარტივია დასამზადებლად. ესაა ზამბარიანი მექანიზმი, რომელიც დარბაზის კედელში ღრმად ჩამალულ კრონშტეინებს რგოლების გვარლთან აერთებს. ამორტიზატორის ძირითად ნაწილს შეადგენს 2,5 მ სიგრძის ლითონის ღერძი (მისი ბოლოები კედელში ჩამაგრებულ კრონშტეინს უერთდება) და ლითონის მილი (ცოტა უფრო მოკლე. მასზეა დამაგრებული კავი გვარლისთვის). ღერძი და მილი გადამკვეთი დგარებითაა შეერთებული. ამ საყრდენების მდებარეობა შეიძლება შეიცვალოს იმის შესაბამისად, თუ როგორი ელასტიკურობაა საჭირო ამორტიზატორისთვის. მსუბუქი წონის ტანმოვარჯიშეებისთვის დგარებს შუა ნაწილთან ახლოებენ, უფრო მძიმე წონის სპორტსმენებისთვის კი ცენტრიდან მოშორებით ამაგრებენ.

ამორტიზატორი უხმაუროდ მუშაობს, იგი ხელს უწყობს ვარჯიშის მეტი ეფექტით და ნაკლები ძალის დახარჯვით შესრულებას.

მაგრამ ტანვარჯიშის სპეციალისტებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვეულებრივ რგოლებზეც ხომ ვარჯიშების უმეტესობა საკმაოდ მოქნილად, ძალის განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე სრულდება. ღირს თუ არა დამუშავებულ კონსტრუქციაში რაიმე დამატებითი გამართულებელი მოწყობილობის შეტანა?

საჭირო იყო საარგუმენტაციო დასკვნები და ფიოდოროვმა სამეცნიერო გამოკვლევათა მთელი სერია ჩაატარა. მან გადაიღო დატვირთვის ოსცილოგრამები, რომლებმაც გვიჩვენეს, რომ რგოლების ძველ კონსტრუქციაზე დინამიკური დარტყმის მაქსიმალური გაძლიერება, რასაც სპორტსმენი, ვთქვათ, „უკან დაქნევით ამართვის“ შესრულების დროს განიცდის, თითქმის 400 კგ-ს უდრის (თუ სპორტსმენი 60 კგ-ზე ცოტა მეტს იწონის). ფიოდოროვის რგოლებზე კი იგი 210 კგ, ესე იგი თითქმის ორჯერ ნაკლებია. ეს უკვე ფიოდოროვის სასარგებლოდ მეტყველებს, მით უმეტეს, რომ ახალი კონსტრუქციის რგოლებზე ვარჯიში სულაც არ სცემს ტანმოვარჯიშეთა საერთო გაწვრთნილობისა და ოსტატობის დონეს. ამავე დროს ახალ იარაღზე ვარჯიშით ბევრად კლებულობს იოგებისა და კუნთების დაჭიმულობა, ტანმოვარჯიშეს ეძლევა შეჯიბრებისთვის ინტენსიურად მომზადების შესაძლებლობა. ამას თვით სპორტსმენები ამტკიცებენ.

მაგრამ ეს ერთადერთი არგუმენტი როდია სიახლის მხარდასაჭერად. შეიძლება საკითხი დაისვას სხვაგვარადაც: საერთოდ ღირს თუ არა ძველი კონსტრუქციის რგოლებზე მუშაობა?

ყველაზე მეტად რა გვიზიდავს სპორტულ ტანვარჯიშში? ადამიანის სხეულის სილამაზე და ძალა, მისი ოსტატურად ფლობის უნარი. როგორც ფიზიკური კულტურის ცენტრალურ ინსტიტუტში ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, ფიოდოროვის რგოლები ხელს უწყობს ტანმოვარჯიშეთა შესაძლებლობების უკეთ გაშლას, უფრო მეტ შინაარსს ანიჭებს წვრთნის პროცესს, ნაკლებ სახიფათოს ხდის მას. შეჯიბრება კი სანახაობრივად უფრო მიმზიდველი ხდება. ერთი სიტყვით, ახალი რგოლები ყოველმხრივ სჯობს ძველს.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციას განზრახული აქვს შუამდგომლობით მიმართოს ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურ კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელმა ამორტიზატორიანი რგოლები ოფიციალურ იარაღად დაამტკიცოს საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის.

გ. ზუკოვი,
ინჟინერი.

ფეხბურთის მრგვალ მაგიდასთან

საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა

სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ქართულ ფეხბურთს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში. იგი ყოველთვის მკვეთრად გამოირჩეოდა თავისი ტემპერამენტით, სისწრაფით და ტექნიკური სრულყოფით. მართალია, ამ ბოლო ხანებში ქართულ ფეხბურთს აყვედრიან, რომ მან რამდენადმე დაკარგა მგზნებარე ტემპერამენტი, მაგრამ ჩვენი ცალკეული საუკეთესო მოთამაშეები თავიანთი ინდივიდუალობით მაინც გამოირჩევიან სხვებისგან და არაფრით ჩამოუვარდებიან საერთაშორისო კლასის ფეხბურთელებს.

ჩვენ ვთქვით „არაფრით ჩამოუვარდებიან", მაგრამ ვერ ვამბობთ, რომ ისინი ტოლფასოვანნი არიან და სწორედ ამიტომ გვინდოდა გაგვემახვილებინა მკითხველის ყურადღება: რამ შეუშალა ხელი ჩვენს ოსტატებს ასეთივე უბადლონი ყოფილიყვნენ?

ჩვენი აზრით, ამის მიზეზია ის ხარვეზები, რომლებიც გაგვაჩნია სპორტსმენთა აღზრდის სისტემაში. ნიჭიერი ახალგაზრდობა საკმარისად გვყავს, მაგრამ მათი პერსპექტიულობის გამოვლინება არც თუ ისე ადვილი საქმეა, ვინაიდან ამას ღრმა ცოდნა უნდა და მწვრთნელს უნდა გააჩნდეს ის „მეექვსე გრძნობაც", რომელიც მას საშუალებას მისცემს შეამჩნიოს ნორჩი სპორტსმენის შესაძლებლობანი.

პერსპექტიული ახალგაზრდობის გამოვლინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ახლა ისე გაიზარდა სპორტის ტექნიკური არსენალის დონე, რომ თვითნასწავლს შეუძლია დაეუფლოს მხოლოდ მის ცალკეულ დეტალებს, განსაზღვრულ ნაწილს. მაგრამ მწვრთნელის დაუხმარებლად უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა მისთვის შეუძლებელ საქმეს წარმოადგენს.

მწვრთნელთა კვალიფიკაციის მაღალ დონეზე მეტყველებენ ის დიდი მიღწევები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას აქვს. მათი აღზრდილი არიან საერთაშორისო კლასის სპორტსმენები, რომლებითაც ამაყობს მთელი საბჭოთა სპორტი და სწორედ ამიტომაა დასანანი ჯერ კიდევ არსებული ჩრდილები და ხარვეზები, ნაკლოვანებანი.

ჩვენ ყოველთვის გვყავდა და ახლაც გვყავს საყოველთაოდ აღიარებული ფეხბურთელები, მაღალი კლასის ოსტატები. აი, აქ გვხვდებიან ფეხბურთელებიც, რომლებსაც დიდი მონაცემები აქვთ, მაგრამ ისეთი დასანანი ხარვეზები გამოურევათ ხოლმე, რომელთა გამოსწორება არ იქნებოდა ძნელი საქმე, რომ მათთვის დროზე, ადრეულ პერიოდში მიექციათ ყურადღება მწვრთნელებს. მე ვფიქრობ, სწორედ ესაა მიზეზი უფრო მეტი საერთაშორისო კლასის ოსტატი რომ არა გვყავს. ფეხბურთელის ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა საჭიროა მისი ფორმირების პროცესში, სანამ ახალგაზრდა მიაღწევდეს თავის შესაძლებლობათა გაფურჩქვნას. ზოგიერთი მწვრთნელი რატომღაც უგულებელყოფს ახალგაზრდა ფეხბურთელისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, მისთვის დამახასიათებელი ფიზიკური და ფსიქო-ემოციური მონაცემების გათვალისწინებას. ეს კი დიდად ვნებს საქმეს.

ავიღოთ, მაგალითად, მ. მესხი. ზედმეტია ლაპარაკი ამ ფეხბურთელის ბრწყინვალე კლასზე, მის კოლორიტულობაზე, მაგრამ მესხს აქვს ძლიერი ფეხი — მარცხენა, მარჯვენას კი იშვიათად ხმარობს, ე. ი. დარტყმაც სუსტი აქვს, თუმცა, მისი შესანიშნავი ოსტატობის ფონზე ეს თითქმის არ იგრძნობა. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მესხს რომ მარჯვენა ფეხიც ისეთი ძლიერი ჰქონოდა, როგორიც მარცხენა აქვს, როგორ გაიზრდებოდა მისი შედეგიანობა. გაიხსენეთ, რა სიზუსტით აწოდებს მესხი ბურთს კართან თავისი გარღვევების შემდეგ, მაგრამ ახეთი სიზუსტის მქონე ფეხბურთელს უჭირს კარში ხეირიანი დარტყმის შესრულება. შეიძლება, სწორედ ამ ზუსტმა ჩაწოდებებმა განაპირობეს მესხის პასიურობა საჯარიმო მოედნის ცენტრში, შეიძლება, მარჯვენა ფეხის სისუსტეს ადრინდელი მწვრთნელები მეორეხარისხოვან ფაქტორად თვლიდნენ, ვინაიდან მათთვის საკმარისი იყო მესხის „ვიწრო სპეციალობა" — დრიბლინგი და ზუსტი მოწოდება კართან.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მწვრთნელთა უმეტესობა შაბლონს მისდევს და ამიტომ ჩვენს გუნდებს დაეკარგათ მრავალფეროვნება, შეიზღუდა მოთამაშეთა შემოქმედებითი ნიჭი, გაბატონდა ტრაფარეტი. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა მოთამაშეთა შემოქმედებით შესაძლებლობებზე დაყრდნობა, მათი წახალისება.

ბ. პაიჭაძეს ერთ დროს განცვიფრებაში მოჰყავდა მაყურებლები იმით, რომ თითქმის პირითი ხაზიდან გაჰქონდა გოლები. მაშინ არც ერთი მწვრთნელი არ დაინტერესებულა, როგორ აკეთებდა ამას ჩვენი დიდოსტატი და მხოლოდ ათეული წლების შემდეგ შემოვიდა პრაქტიკაში მრუდე ტრაექტორიით დარტყმა. ოდნავ მეტი დაკვირვებულობა და ეს დარტყმა დიდი ხნის წინ დამკვიდრდებოდა ქართულ ფეხბურთში.

ვიმეორებთ, პერსპექტიული ფეხბურთელის აღზრდა მისი სრულყოფილ ოსტატად ქცევა შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობით, უდიდესი ყურადღების გამოჩენით მის შესაძლებლობათა მიმართ.

ზ. ჩაჩაიძე,
კონსტრუქტორი.

1969 წლის ფეხბურთი

●●

ლაპარაკობს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გრანატკინი

●●

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე გაშლილი დისკუსია, თუ როგორი გზით უნდა წარიმართოს ჩვენი ფეხბურთი, როგორი უნდა იყოს უმაღლესი ლიგის შემადგენლობა და შეჯიბრების კალენდარი, როგორ უნდა მოემზადოს ნაკრები და ა. შ., შეაჯამა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. გრანატკინმა.

მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის ახლანდელი სისტემა მნიშვნელოვანწილად ამუხრუჭებს ჩვენი ფეხბურთის განვითარებას და ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გარკვეული რეფორმების მოხდენა, მისი გაჯანსაღება. მართალია, პოლემიკის მონაწილე ავტორთა შეხედულებებში ხშირად ვხვდებოდით შეხედულებათა რადიკალურ წინააღმდეგობებს, მაგრამ, ცხადია, საჭიროა რაციონალური, გონივრული გზის გამონახვა, რათა თავიდან ავიცილოთ ადრინდელ სისტემაში არსებული ნაკლოვანებანი.

ფედერაციამ შეიმუშავა ახალი დებულება, რომელსაც განსახილველად გამოიტანს უახლოეს პლენუმზე, ამასთან წლევანდელი სეზონი მიჩნეულია გარდამავალ პერიოდად, რომლის შემდეგ დადგინდება გარკვეული, სტაბილური წესი.

განზრახულია სსრ კავშირის პირველობა 1969 წელს ჩატარდეს 2 საფეხურად. „ა" კლასის I ჯგუფის ახლანდელი 20 გუნდი შექმნის 2 ქვეჯგუფს 10-10 გუნდის შემადგენლობით. ჯერ ჩატარდება შესარჩევი თამაშები, სადაც გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ. შემდეგ 14 გუნდი (7-7 უძლიერესი თვითეული ქვეჯგუფიდან) გაითამაშებს ჩემპიონის წოდებას, ამასთან გადამწყვეტ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან მხოლოდ სხვადასხვა ქვეჯგუფის წარმომადგენლები. პირველ ეტაპზე ნათამაშევი მატჩები მექანიკურად გადადის ფინალში.

ორსაფეხურიანი სისტემით ადრეც ჩატარებულა საკავშირო პირველობა და მან თავის დროზე მრავალი საყვედური გამოიწვია. ასეთი საყვედურებისთვის საფუძველი ახლა ნაკლებია, ვინაიდან 10 გუნდიდან აბსოლუტური უმეტესობა (7) გადადის ფინალურ ჯგუფში, ამას გარდა, მონაწილეთა კლასი ახლა გაცილებით გათანაბრდა და მომავალ აუტსაიდერთა წინასწარ განსაზღვრა არც ისე ადვილი საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლა აღარ იქნება ე. წ. „უსარგებლო" თამაშები.

ცხრილის ქვემო ნახევარში დარჩენილი 6 გუნდი ერთმანეთს შორის გაითამაშებს ტურნირს 4 წრის რაოდენობით. 2 საუკეთესო გუნდი 1970 წლისთვის გადავა უმაღლეს ლიგაში, ხოლო მე-17 ადგილი მიეკუთვნება „ა" კლასის II ჯგუფის უძლიერეს გუნდს.

ამრიგად, 14 საუკეთესო გუნდი, ნაკრების მთავარი რეზერვები და საერთაშორისო ტურნირების მონაწილენი, ჩაატარებენ 18 თამაშს პირველ საფეხურზე და 14-ს მეორეზე. ე. ი. სულ 32 თამაშს. დანარჩენი 6 გუნდი პირველ ეტაპზე ჩაატარებს 18 თამაშს, ხოლო მეორეზე 20-ს, ამ ჯგუფის წარმომადგენლები ნაკლებად არიან დაკავშირებული ნაკრებთან და არც საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობენ, ამიტომ ადრინდელი ნორმა — 38 თამაში მათთვის სავსებით საკმარისია.

ასეთი კალენდარი საშუალებას მისცემს ნაკრებს დაწყნარებით შეასრულოს თავისი საერთაშორისო კალენდარი, შესაძლებლობას შექმნის მოვაწყოთ ორკვირიანი შეკრებები პირველ და მეორე წრეებს შორის, რაც საჭიროა დასვენებისთვის, მოთამაშეთა სამკურნალოდ, ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრებისთვის და ა. შ.

რამდენიმე სიტყვა ერთკვირიან სათამაშო ციკლზე. რომც გვქონდეს შესაძლებლობა თამაშები ჩავატაროთ, ვთქვათ, მხოლოდ, შაბათობით, ერთნაირ პირობებში მაინც ვერ მოვაქცევთ იმ გუნდებს, რომლებიც გასვლაზე თამაშობენ და იმ გუნდებს, რომლებიც შინ ღებულობენ მოწინააღმდეგეს. კოლექტივი, რომელიც მგზავრობაში იმყოფება სულ სხვა პირობებშია, სხვა საწვრთნელი პირობები გააჩნია და ამიტომ ჩვენს სინამდვილეში უკეთესი იქნებოდა ორკვირიანი ციკლი, რომელიც ითვალისწინებს 2 თამაშს კვირის განმავლობაში გასვლაზე და ერთ თამაშს იმავე ვადებში — შინ.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში დადგინდა ორდღიანი დასვენება, ზაფხულში შევეცდებით შაბათკვირას არ დავნიშნოთ თამაშები, ვინაიდან მშრომელებს სურვილი აქვთ ეს დღეები ქალაქგარეთ გაატარონ, მაგრამ ადრე გაზაფხულისა და გვიანი შემოდგომის თვეებში, პირიქით, შევეცდებით შაბათი და კვირა ფეხბურთით შევავსოთ.

განზრახულია სეზონი დაიწყოს 4 აპრილს და დამთავრდეს ნოემბრის პირველ რიცხვებში.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო მხედველობაში მრავალრიცხოვანი შენიშვნები იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის თასის ფინალი ტარდება შეუსაბამო დროს, გვიან შემოდგომით. ამიტომ გადავწყვიტეთ სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი ჩატარდეს აგვისტოს მეორე შაბათს, როგორც ეს ადრე იყო და ეს დღე ტრადიციად იქცეს.

ახლა „ა" კლასის II ჯგუფის შესახებ. განზრახული გვაქვს მისი შემცირება. ამჟამად არსებული 84 გუნდიდან საკმაოდ დიდი ნაწილი მას არ შეესაბამება თამაშის კლასით, ამიტომ 1969 წლის სეზონი მეორე ეშელონისთვისაც გარდამავალი იქნება. „ა" კლასის II ჯგუფის 4 ჯგუფიდან შევარჩევთ 4 ათეულ უძლიერესს, რომლებიც 1970 წლისთვის შექმნიან 2 ჯგუფს. ერთში შევლენ რსფსრ-სა და უკრაინის კოლექტივები, ხოლო მეორეში — მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები იმ ვარაუდით, რომ ჯგუფში ირიცხებოდეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი. „ა" კლასის II ჯგუფში 2 გამარჯვებული ყოველ წელს გადავა უძლიერეს ლიგაში იქ ბოლო 2 ადგილზე გასული გუნდების ნაცვლად. თავის მხრივ, II ჯგუფი შეივსება „ბ" კლასის უძლიერესი კოლექტივების ხარჯზე, რომელთა შეჯიბრებებს ჩაატარებენ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციები.

დისკუსიის პროცესში მრავალი მართებული შენიშვნა გამოითქვა ნაკრების შესახებაც. ამიერიდან ნაკრებს ექნება სწორედ ნაკრების და არა ცალკე არსებული კლუბის სახე. მოთამაშეთა მზადება იწარმოებს თავიანთ კლუბებში, იქიდან მათი ხანგრძლივი მოწყვეტის გარეშე. ნაკრების მწვრთნელთა მოვალეობაში შევა ფეხბურთელთა შერჩევა, ტაქტიკური გეგმების შემუშავება და ნამდვილი ანსამბლის შექმნა. მათი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდება მწვრთნელთა საბჭოს.

ეს რეფორმები ნაკარნახევია ჩვენი ფეხბურთის შემდგომი პროგრესის ინტერესებით. საჭირო იქნება დიდი ორგანიზებულობისა და ურთიერთ კონტაქტის გამოჩენა, რათა დავძლიოთ ყველა არსებული სიძნელე და მივაღწიოთ დასახულ ამოცანათა შესრულებას.

ეს მომენტი ასახავს მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის პერიპეტიას. თამაშობენ სსრ კავშირისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები. მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საბჭოთა ნაკრების ცენტრალური მცველი ხურცილავა და პორტუგალიელი ტორესი (მარცხნივ).

მოსკოვის «დინამო» და «სპარტაკი» — იტალიაში

იტალიაში კურნეს განაგრძობენ მოსკოვის „სპარტაკისა" და „დინამოს" ფეხბურთელები.

სპარტაკელები ტურინში შეხვდნენ იტალიის ცნობილ კლუბს „ტორინოს" და კვლავ გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 (გოლი გაიტანა ოსიანინმა). ამრიგად, მოსკოვის „სპარტაკმა" იტალიაში ჩაატარა 4 მატჩი, 3 მოიგო, 1 წააგო ბურთების დადებითი შეფარდებით — 9:4.

დინამოელები თამაშობდნენ პალერმოში, ადგილობრივ გუნდთან. გამარჯვება აქაც „დინამოს" ხვდა წილად — 2:1. ორივე ბურთი გაიტანა ევრიუჟიხინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

● **ჰასტინგსი,** 7 იანვარი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IX ტურში ვ. სმისლოვმა მოუგო ჩ. კოტნაუერს (ინგლისი). ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია) — რ. ჰარტოჰს (ჰოლანდია). ამჟამად სმისლოვს 7,5 ქულა აქვს, გლიგორიჩს — 7.

● **სტოკჰოლმი,** 7 იანვარი. ნორვეგიელი მოთხილამურე ე. ბეკემელამი გამარჯვებული გამოვიდა აქ მოწყობილ 15-კილომეტრიან რბოლაში. მან დისტანციის გავლას 1:02,16 მოანდომა.

● **ესტერსუნდი,** 7 იანვარი. ოლიმპიური ჩემპიონის, ნორვეგიელი ჰ. გრენინგენის დამარცხებით დამთავრდა აქ მოწყობილი მოთხილამურეთა 15-კილომეტრიანი რბოლა. გაიმარჯვა გ. ლარსონმა (შვეცია) — 54.52,0. გრენინგენი მეორე იყო — 55.06,0.

● **გრონინგენი,** 7 იანვარი. ევროპის ქვეყნების იუნიორ მოჭადრაკეთა ტურნირში დამარცხება განიცადა ლიდერმა მედერმა (გფრ). მეხუთე ტურში მას მოუგო ფინელმა ტურუნენმა. V ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: მედერი — 4 ქულა, ანდერსონი (შვეცია) — 3,5, რიბლი (უნგრეთი) და უები (ინგლისი) — 3-3, ვაგანიანი — 2,5 და ერთი გადადებული პარტია.

● **მელბურნი,** 7 იანვარი. საბჭოთა ჩოგბურთელმა თ. ლეიუსმა ამჯერად ხელარტი აიღო ვიქტორიის შტატის ღია ჩემპიონატში, სადაც მის გარდა „მწვანე კონტინენტისა" და სხვა სახელმწიფოთა უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობენ. პირველ ტურში ლეიუსმა დაამარცხა ავსტრალიელი რ. ჯილტინენი — 6:3, 7:9, 6:1, 6:4.

თ. ლეიუსი.

ახალი ამბები

სიმძაფრე მატულობს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ სსრ კავშირის ვაჟთა 36-ე საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილენი კვლავ მიუსხდნენ მაგიდებს: შედგა V ტური.

დიდი ალმავლობით ითამაშეს ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) და ი. სახაროვმა (კიევი) პავლოდარელ ი. ნიკიტინთან და რიგელ ი. კლოვანთან. ოთხსაათიანი ბრძოლა მოსკოველი და კიეველი მოჭადრაკეების გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ა. ლეინი (მოსკოვის ოლქი) — მ. ტალი (რიგა), რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — ვ. ცეშკოვსკი (ომსკი), ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ი. ზაიცევი (მოსკოვი), ი. პლატონოვი (კიევი) — ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), ბ. გურგენიძე (თბილისი) — ა. ლუტიკოვი (ტირასპოლი) და ვ. ოსნოსი (ლენინგრადი) — ვ. ლიბერზონი (მოსკოვი).

დაუმთავრებელი დარჩა ა. ჩერეპკოვ (ლენინგრადი) — ა. ზაიცევის (ვლადივოსტოკი) და ი. ავერბახ (მოსკოვი) — მ. პოდგაეცის (ოდესა) პარტიები.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ი. სახაროვი — 3,5 ქულა, ე. ვასიუკოვი, ა. ლუტიკოვი — 3-3 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ცხელ წყალზე

ომსკის ოლქის სოფელ ტავრიჩში ამას წინათ დამთავრდა მშენებლობა სსრ კავშირში პირველი აუზისა, რომელიც მიწისქვეშა ცხელი წყლით მარაგდება. ამ ბუნებრივი რესურსების გამოყენებით 25-მეტრიანი აუზის აგების იდეა „ომსკგიპროსელხოზსტროის" თანამშრომლებს დაებადათ, პროექტიც მათ შეადგინეს და მშენებლობის ხელმძღვანელობაც ითავეს. გადაწყდა: ამგვარი აუზები ოლქის კიდევ რამდენიმე რაიონში ააგონ.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS •

შესარჩევი მატჩი

დაკარი. სენეგალისა და მაროკოს ნაკრებ გუნდებს არ ეყოთ 2 მატჩი, რათა გაერკვიათ გამარჯვებულის საკითხი მსოფლიო ჩემპიონატის XVI შესარჩევი ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში. მაროკოელებმა თავიანთ მინდორზე გაიმარჯვეს (1:0), ხოლო სტუმრად წააგეს (1:2). დამატებით მატჩში გამარჯვებული აფრიკის ზონის ნახევარფინალში შეხვდება ტუნისის ნაკრებს.

● ●

„ოსკარი" — ჯ. ფაკეტის

ფრანგი სპორტული ჟურნალისტების ჯილდო „ოსკარი" გადაეცა იტალიის ნაკრების კაპიტანს ჯ. ფაკეტის. ჯილდო „ოსკარი" მიენიჭება იმ მოთამაშეს, რომელიც ფრანგი ჟურნალისტების აზრით, საუკეთესოა ევროპაში. ეს კონკურსი მეტოქეობას უწევს „ფრანს ფუტბოლის" ცნობილ გამოკითხვას.

მიმომხილველთა აზრით, ფაკეტისთვის ჯილდოს მინიჭება განაპირობა იტალიის ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონობის მოპოვებამ. ეს შეჯიბრება კაპიტანმა საუცხოოდ წარმართა და ამას გარდა, კარგად თამაშობდა მილანის „ინტერნაციონალეს" შემადგენლობაში.

კიდევ ერთი კლასიფიკაცია

ყოველი წლის ბოლოს და ახალი წლის დასაწყისში ევროპის სპორტული გაზეთები, სააგენტოები აწყობენ გამოკითხვას უძლიერესი საფეხბურთო ნაკრების გამოსავლენად. აქ როგორც წესი, მონაწილეობენ ცნობილი ჟურნალისტები, ფეხბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები... მაგრამ, მსგავსი გამოკითხვები მეტწილად გარკვეულ ადამიანთა სუბიექტური შეხედულებების გამომხატველია და აბსოლუტური სიზუსტით ვერ ასახავს ამა თუ იმ გუნდის სიძლიერეს (სამწუხაროდ სხვა, უფრო ობიექტური საზომი არ არსებობს).

პოლონურმა გაზეთმა „სპორტმა" (კატოვიცე) დაბეჭდა ევროპის უძლიერესი გუნდების კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის შედეგები და ოფიციალური საერთაშორისო მატჩების მაჩვენებლები. აი, როგორ გამოიყურება „სპორტის" კლასიფიკაცია:

1. იტალია
2. ინგლისი
3. ჩეხოსლოვაკია
4. იუგოსლავია
5. სსრ კავშირი
6. გფრ
7. ბულგარეთი
8. შოტლანდია
9. ბელგია
10. უნგრეთი
11. ესპანეთი
12. გდრ
13. პორტუგალია
14. შვეცია
15. რუმინეთი
16. პოლონეთი
17. ჩრდ. ირლანდია
18. ჰოლანდია
19. უელსი
20. შვეიცარია
21. საბერძნეთი
22. დანია
23. ავსტრია
24. ირლანდია
25. საფრანგეთი
26. თურქეთი
27. ფინეთი
28. ლუქსემბურგი
29. კვიპროსი
30. ისლანდია.

ფედერაციის აზრით

მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ შარშანდელი შედეგების მიხედვით როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში შეადგინა და გამოაქვეყნა 12 საუკეთესო გუნდისა და მოთამაშის სია.

გუნდური: ქალები: 1. იაპონია, 2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, 3. სსრ კავშირი, 4. ჩეხოსლოვაკია, 5. უნგრეთი, 6. გფრ, 7. სამხრეთ კორეა, 8. ინგლისი, 9. გდრ, 10. რუმინეთი, 11. იუგოსლავია, 12. პოლონეთი.

ვაჟები: 1. იაპონია, 2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, 3. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, 4. შვეცია, 5. სსრ კავშირი, 6. იუგოსლავია, 7. გფრ, 8. ჩეხოსლოვაკია, 9. უნგრეთი, 10. ინგლისი, 11. რუმინეთი, 12. გდრ.

პირადი: ქალები.: 1. მორისავა, 2. ოსეკი (ორივე — იაპონია), 3. რუდნოვა (სსრ კავშირი), 4. ინ კისუკი, 5. რო ჩუა-ია (ორივე — სამხრეთ კორეა), 6. ვოშტოვა, 7. ლუქოვა-ხაიმოვა (ორივე — ჩეხოსლოვაკია), 8. გრინბერგი (სსრ კავშირი), 9. ფუნკუნა (იაპონია), 10. რაიტი (ინგლისი), 11. ჩჰოი ქუნგსუკი (სამხრეთ კორეა), 12. შიმიზუ (იაპონია).

ვაჟები: 1. ხასაკავა, 2. კონო (ორივე — იაპონია), 3. კიმ ჩან-ხო (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა), 4. შურბეკი (იუგოსლავია), 5. ბიორკეი (უნგრეთი), 6. ალსერი (შვეცია), 7. კიმ ჩუნგ-ოინგი (სამხრეთ კორეა), 8. იტო (იაპონია), 9. იოჰანსონი (შვეცია), 10. ინ რიანგ-ვუნი, 11. პაკ სინ-ილი (ორივე — კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა), 12. გომოზკოვი (სსრ კავშირი).

▲ **ჩოგბურთის** ევროპის კომიტეტის ვარშავაში გამართულმა სხდომამ გადაწყვიტა მოყვარულთა პირველი ევროპული ჩემპიონატი 15-21 სექტემბერს იტალიაში გამართოს. გაისად ტურნირს ბულგარელები უმასპინძლებენ.

▲ **ნიუ-იორკში** ჩატარდა მძლეოსნობის მოყვარულთა ეროვნული კავშირის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა ამ ქვეყნის ნაკრები გუნდის საერთაშორისო შეხვედრების კალენდარი. სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მორიგი მატჩი დაგეგმილია 19-20 ივლისს ლოს-ანჯელესში. 30-31 ივლისს კი შტუტგარტში გაიმართება ევროპისა და ამერიკის კონტინენტების ნაკრები გუნდების შეხვედრა.

მესამე გამარჯვება

ამ დღეებში მაიაკოვსკის კულტურის სახლში მოეწყო ამხანაგური სამატჩო შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში. მასპინძლებმა — სპორტული სკოლის ჭაბუკმა მოჭიდავეებმა სტუმრად მიიღეს ვანელი თანატოლები.

მაიაკოვსკელებმა ეს საინტერესო და სპორტულად დაძაბული შეხვედრა ალმავლობით ჩაატარეს და დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს — 11:1. აღსანიშნავია, რომ ეს მაიაკოვსკის სპორტსკოლის აღსაზრდელთა მესამე გუნდური გამარჯვებაა.

ამჟამად ნორჩი ფალავნები გულმოდგინედ ემზადებიან მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად.

რ. ენდელაძე.

საჯარიმო მოედანზე

◆

იუმორესკა

◆

საჯარიმო ხაზი გადაკვეთა და ამაყად თავაწეული მოედნის მეორე ნახევრისკენ გაემართა. მსუბუქი, გამოზომილი ნაბიჯით მიუახლოვდა მოედნის ცენტრს, უკან მოიტოვა ცენტრალური ნაწილი და შედგა, ირგვლივ მიმოიხედა.

მხოლოდ ახლა შენიშნა იგი. მისკენ დინჯად მოემართებოდა. დაიბნა. შეხვედრა მოედნის ამ მონაკვეთზე კარგს არას უქადდა. მანამდეც ბევრს გადაულახავს მოედანი, მაგრამ პირადად მასთან შეხვედრისას თავ-ბედი უწყვეტია.

უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. ამას მაყურებლის ირონიული ღიმილი და შეიძლება დაცინვაც მოჰყოლოდა. ეს კი მის სრულ დამარცხებას ნიშნავდა.

— მარჯვნივ რომ გავიჭრა? — გაიფიქრა და მოედნის მარჯვენა მხარეს გააპარა მზერა. — არა. შეუძლებელია, გადაუჭრის გზას და...

თავდახრილმა თვალები ოდნავ მოხუჭა, მოწინააღმდეგეს გახედა და ტუჩის კუთხეებში ღიმილი შენიშნა: — „მიმიხვდა განზრახულს. ვერაფერს გამოაპარებ" — გაივლო გულში და ჯიქურ გასწია მეტოქისკენ. მოხდეს, რაც მოსახდენია, უკან დახევას... იქნებ გაექცეს?

უკანასკნელი, მეტრებიღა დარჩა მათ შორის.

ათი, ცხრა.

— იქნებ ტანის ცრუ მოძრაობით წონასწორობიდან გამოვიყვანო და მარცხნივ დავუსხლტე?!

რვა, შვიდი.

— „იქნებ ვაიძულო უკან გაიხედოს და მაშინ!.."

ექვსი, ხუთი.

— „ყოველგვარი ცრუ მოძრაობის გარეშე რომ გავიჭრა მარცხნივ?" მოედნის სიღრმეში კიდევ სამნი დგანან და ყველაფერს ხედავენ. მარცხნივ გადადგმული ერთი ნაბიჯიც საკმარისია, რომ სამივე მისკენ გამოეშუროს.

ოთხი, სამი.

— „უკან რომ დავბრუნდე?" — გაუელვა და მოედნის სიღრმეს გახედა.

შორია. მაგრამ არა, უკან დაბრუნებას ისევ ორთაბრძოლაში დამარცხება სჯობს.

ორი, ერთი.

— „იქნებ?" — მაგრამ უკანასკნელი იმედიც გადაუწყვიტა მოწინააღმდეგემ. იგი მთელი ტანით აღიმართა მის წინაშე, მარჯვენა საფეთქელთან მიიდო და...

ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისთვის დააჯარიმა.

გ. ტორიაშვილი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ არენებზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **11-12 იანვარი. სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ა" კლასი. ვაჟთა გუნდები: „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა).** დასაწყისი 20 ს.

ცურვა. დახურული აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). **9-11 იანვარი. რესპუბლიკური პირად-გუნდური ტურნირი.** დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. ;5; უე 03107.